

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის 2018 წლის საქმიანობის ანგარიში

ორგანიზაციული მიმოხილვა

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (ბაფი) არის წევრობაზე დაფუძნებული პროფესიული (არასამთავრობო, არაკომერციული) ორგანიზაცია. შეიქმნა 1998 წლის 5 მაისს, საქართველოს ბუღალტერთა კლუბისა და ბუღალტერთა ასოციაციის გაერთიანების შედეგად. ბაფი არის საქართველოს ბუღალტერთა კლუბის (დაფუძნდა 1996 წელს) სამართალმემკვიდრე.

ბაფის მისია: საინვესტიციო ბიზნესგარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დამკვიდრებით;

საქმიანობის მიზანი: წევრების მაღალკვალიფიციური დონის მიღწევა და შენაჩუნება, საზოგადოებისათვის ხარისხიანი მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით; ბიზნესგარემოს გაუმჯობესება და ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, ფინანსური ანგარიშგების სანდოობისა და ხარისხის უზრუნველყოფით.

ბაფის წევრები არიან ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროს წარმომადგენელი ფიზიკური და იურიდიული პირები. 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ბაფის წევრია 8034 ფიზიკური პირი და 60 აუდიტორული კომპანია, რომლებსაც საქართველოში აუდიტორული საქმიანობის ბაზრის 90 პროცენტზე მეტი უჭირავთ. საქმიანობისა და წევრობის არეალი მოიცავს საქართველოს რეგიონებსა და რაიონებს.

ძირითადი საქმიანობა: ფიზიკური პირი წევრების პროფესიული გადამზადება, სერტიფიცირება და განგრძობითი განათლება; დისციპლინარული მოკვლევა და მონიტორინგი წევრების მიერ პროფესიული ეთიკის დაცვაზე.

კორპორაციული წევრების (აუდიტორი კომპანიები) მომსახურების ხარისხის განვითარების მხარდაჭერა; მომსახურების ხარისხის მონიტორინგისათვის წევრი კომპანიებისათვის წინასწარი დიაგნოსტიკური ანგარიშების მომზადება.

წევრების საკონსულტაციო მომსახურება; პროფესიული განათლებისა და სერტიფიცირების სახელმძღვანელო და დამხმარე ლიტერატურით წევრების უზრუნველყოფა; პროფესიის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის ლობირება; ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციასთან შეთანხმებული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სხვა საქმიანობა.

შვილობილი კომპანიები: შპს პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტი და შპს „ქურნალი ბუღალტრული აღრიცხვა“.

ორგანიზაციული სტრუქტურა

საერთო კრება—გამგეობა—კომიტეტები - აღმასრულებელი დირექცია—ფილიალები.

გამგეობა შედგება 12 წევრისაგან. სათავო და რეგიონალური ოფისების საქმიანობის მართვას ემსახურება 42 თანამშრომელი. საქმიანობის მართვა ხორციელდება გამგეობის, აღმასრულებელი დირექტორისა და შესაბამისი კომიტეტების მიერ შემუშავებული და დამტკიცებული შიდა პოლიტიკის, სისტემებისა და მენეჯერული პროცედურების საფუძველზე

ფილიალები: აჭარა, სამეგრელო-ზემო სვანეთი, იმერეთი, ქართლი, კახეთი, ფოთი, რუსთავი.

კომიტეტები: განათლების კომიტეტი, სტანდარტების კომიტეტი, აუდიტის ხარისხის კომიტეტი, საგადასახადო კომიტეტი, საწევრო კომიტეტი, ეთიკისა და დისციპლინარული კომიტეტი.

საანგარიშო პერიოდამდე საქმიანობის რეზუმე

ბაფის ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით 1998-2018 წლებში:

- მიღებულ იქნა საქართველოს კანონები: „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ (1999 წელი) და „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ (2012 წელი);
- დაფუძნდა პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტი (სასწავლო ცენტრი) და ყოველთვიური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ბუღალტრული აღრიცხვა“;
- ჩამოყალიბდა სპეციალისტთა გადამზადებისა და განგრძობითი სწავლების სისტემა და დამკვიდრდა პროფესიული სერტიფიცირება;
- ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები აღიარებულ იქნა საქართველოს ეროვნულ სტანდარტებად;
- პერიოდულად ითარგმნებოდა და გამოიცემოდა ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები. მზადდებოდა და გამოიცემოდა მათი პრაქტიკაში გამოყენებისათვის საჭირო ლიტერატურა;
- დაფუძნდა ბუღალტერთა და აუდიტორთა რეგიონალური ფედერაცია „ევრაზია“;
- ჩატარდა 12 საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით;
- მომზადდა და ნორმატიული აქტების სახით გამოიცა მცირე ბიზნესის ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებული სტანდარტები (2004 წელი) და არაკომერციული იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტი (2006 წელი);
- ითარგმნა და გამოიცა: მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (2014 წელი); მომსახურების ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი და მისი გამოყენების სახელმძღვანელოები (2014-16 წელი);

- პერიოდულად გამოიცემოდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით გადამზადდა 30000-ზე მეტი ბუღალტერი;
- მთავარი ბუღალტრის სერტიფიცირების პროგრამაში მონაწილეობდა 1630 პირი;
- პროფესიონალი ბუღალტრის სტატუსი მოიპოვა 645 პირმა;
- მიმდინარე ეტაპზე, პროფესიული სერტიფიცირების პროგრამაში მონაწილეობს სერტიფიცირების 8000-მდე კანდიდატი.

აღიარება და რეპუტაცია. ბაფი 1999 წლიდან აღიარებულია აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციად და მონაწილეობს პროფესიის რეგულირებაში, კანონმდებლობის შესაბამისად.

1998 წლიდან თანამშრომლობს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსთან ფასს-ების ქართულ ენაზე თარგმნის სფეროში.

2000 წლიდან არის ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილი წევრი.

2003 წლიდან, ბრიტანეთის ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA) საერთაშორისო პროგრამის ადაპტირებული ქართული პროგრამის საფუძველზე, ახორციელებს პროფესიულ სერტიფიცირებას.

2006 წლიდან ბაფის პროფესიული სერტიფიცირების პროგრამა აკრედიტებულია ACCA -ის მიერ.

2012-2016 წლებში, კანონმდებლობის საფუძველზე, ახორციელებდა აუდიტური კომპანიების პროფესიული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

ბაფის ბუღალტერთა პროფესიული სერტიფიცირების სრული სასერტიფიკაციო პროგრამა, საგამოცდო პოლიტიკა და პროცედურები აღიარებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ. ბაფი არის საქართველოში ბუღალტერთა პროფესიული სერტიფიცირების განმახორციელებელი ერთადერთი საგამოცდო ცენტრი.

ბაფის სტაბილურობის, აღიარებისა და იმიჯის წყაროა მისი წევრების სიმრავლე, პროფესიონალიზმი, კოლეგიალური დამოკიდებულება, პროფესიული ღირსება და ეთიკური ქცევა. ბაფის წარმატებებში მნიშვნელოვანია მისი პარტნიორების წვლილი.

ბაფი აქტიურად თანამშრომლობს ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურთან, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროსთან დაკავშირებულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საქართველოს სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებთან, აკადემიურ სექტორთან.

საანგარიშო პერიოდის (2018 წელი) საქმიანობა

1. წევრთა საერთო კრება

2018 წლის 26 მაისს სასტუმრო "რედისონ ბლუ ივერიაში" გაიმართა ბაფის საერთო კრება, რომელშიც მონაწილეობდა 195 დელეგატი. საქმიანობის შესახებ წარმოდგენილი ანგარიშების გაცნობის შემდეგ საერთო კრებამ კენჭი უყარა და დამაკმაყოფილებლად შეაფასა საანგარიშგებო პერიოდის ბაფის საქმიანობა (მომხრე 194, თავი შეიკავა - 1-მა).

დელეგატებმა იმსჯელეს ბაფის წესდებაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობაზე, აღინიშნა რომ: „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით (08.06.2016) მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა პროფესიის რეგულირების სფეროში. ახალი რეგულაციების გათვალისწინებით, კრების დელეგატებმა მხარი დაუჭირეს წესდებაში ცვლილებებს: 1. ბაფის ნამდვილ წევრად აღიარების წესი (წესდების მე-4 მუხლის 4.2. პუნქტი); 2. კორპორაციული წევრად მიღების წესი (წესდების მე-4 მუხლის 4.8. პუნქტი); 3. ბაფის გამგეობის თავმჯდომარის არჩევის წესი (წესდების მე-12 მუხლის 12.3 პუნქტი)

საერთო კრებამ გაწეული ღვაწლისათვის მადლობა გამოუცხადა და საპატიო სიგელებით დააჯილდოვა:

რევაზ ძამაძია - საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის დაფუძნების, მისი საუკეთესო ხელმძღვანელობისა და განვითარების საქმეში, აგრეთვე პროფესიაში საერთაშორისო სტანდარტებისა და პროფესიული სერტიფიცირების პრაქტიკის დანერგვაში შეტანილი წვლილისათვის

ზურაბ ლალაზაშვილი - საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის საუკეთესო ხელმძღვანელობის, მისი საქმიანობის პოპულარიზაციასა და განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის.

მაია ფეიქრიშვილი - აჭარის რეგიონში საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის საქმიანობის პოპულარიზაციასა და პროფესიონალი ბუღალტრების მომზადებაში შეტანილი წვლილისათვის

რუსუდან ჟორჟოლიანი - საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის საქმიანობის პოპულარიზაციასა და იმერეთის რეგიონში პროფესიონალი ბუღალტრების მომზადებაში შეტანილი წვლილისათვის

ლალი კობიძე - შიდა ქართლის რეგიონში საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის საქმიანობის პოპულარიზაციასა და ბუღალტერთა გადამზადებაში შეტანილი წვლილისათვის

გიორგი ტყეშელაშვილი - საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით ბუღალტერთა გადამზადებაში შეტანილი წვლილისათვის

საერთო კრებაზე, ფარული კენჭისყრით, არჩეულ იქნენ გამგეობის თავმჯდომარე და გამგეობის წევრები. პირველად, ბაფის ისტორიაში, გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ქალბატონი, რუსუდან ჟორჯოლიანი. გამგეობის წევრებად არჩეულ იქნენ: ლავრენტი ჭუმბურიძე; თეიმურაზ ფარცხალაძე; მიხეილ აბაიაძე; დავით პაპიაშვილი; ნოდარ ებანოიძე; კონსტანტინე დათიაშვილი; თამარ ცუხიშვილი; ნიკოლოზ ბაკაშვილი; გიორგი კვინიკაძე; ივანე ჟუჟუნაშვილი; ივანე ჯელია.

საერთო კრებამ აირჩია სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა: მარეხ ტოგონიძე (თავმჯდომარე), ხათუნა ბარბაქაძე, მზევინარ ციფურაშვილი.

2. გამგეობის საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია გამგეობის 7 სხდომა. სხდომებზე განხილული თემებიდან გამოვყოფთ: კომიტეტების შემადგენლობებისა და დებულებებისა განახლება, კომიტეტების სამოქმედო გეგმების გაახილვა-დამტკიცება; ორწლიანი სამოქმედო გეგმის, ყოველწლიურ სამუშაო პროგრამასთან და მისი შესრულების გრაფიკთან ერთად, დამტკიცება და ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციასთან შეთანხმება; ბაფის 2017 წლის საქმიანობის შედეგების განხილვა; 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცება; სარასის მიერ მომზადებული საკანონმდებლო-ნორმატიულ აქტებში ცვლილებების პროექტებზე მსჯელობა და გამგეობის პოზიციის შეთანხმება; პროფესიული სერტიფიცირებისა და განგრძობითი განათლების პროგრამის პროექტების განხილვა.

საანგარიშგებო წელს მნიშვნელოვანი იყო „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურთან“ (შემდეგში „ზედამხედველობის სამსახური“) თანამშრომლობა, რომლის ძირითადი ასპექტები იყო: პროფესიული სერტიფიცირებისა და განგრძობითი განათლების პროგრამების პროექტები; აუდიტორთა რეესტრის წარმოებისა და ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის წესები და სხვა საკანონმდებლო-ნორმატიულ აქტებში ცვლილებების პროექტები; ერთობლივად ორგანიზებული სემინარი აუდიტორებისთვის და სხვ. ღონისძიებები.

თანამშრომლობა მსოფლიო ბანკის „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში აუდიტისა და ანგარიშგების გაუმჯობესების პროგრამის“ (STAREP) ფარგლებში. ასევე, თანამშრომლობა საქართველოში მოქმედ პროფესიულ ორგანიზაციებთან სერტიფიცირებისა და განგრძობითი სწავლების პროგრამების პროექტებზე და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება.

3. კომიტეტების საქმიანობა

3.1. განათლების კომიტეტი

განათლების კომიტეტის საქმიანობაში, საანგარიშო წელს, მნიშვნელოვანი იყო ბუღალტერთა პროფესიული სერტიფიცირების სასერტიფიკაციო პროგრამის აღიარება „ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ. აღიარებული სასერტიფიკაციო პროგრამა წარმოადგენს ბრიტანეთის ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA) პროგრამის ქართულ ენაზე ადაპტირებულ ვარიანტს, რომელიც მოიცავს საგამოცდო პოლიტიკასა და პროცედურებს.

ბაფი გახდა საქართველოში პირველი ორგანიზაცია, რომელმაც პროფესიის ახალი რეგულაციის შესაბამისად, მოიპოვა პროფესიული სერტიფიცირების გამოცდების ჩატარების უფლება. ბაფის სერტიფიცირების კანდიდატებად რეგისტრირებულ პირებს, პროგრამის აღიარებამდე პერიოდში ჩაბარებული მოდულები ჩაეთვალათ ავტომატურ რეჟიმში.

პროფესიული სერტიფიცირების ახალი რეგულაციების საფუძველზე, განათლების კომიტეტი გათავისუფლდა აღმასრულებელი ფუნქციის შესრულებისაგან. კომიტეტი გახდა სასერტიფიკაციო პროგრამის და განგრძობითი განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელი, სათანადო რეგულაციების შემქმნელი და მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანო.

აღიარებული სასერტიფიკაციო პროგრამის საგამოცდო პოლიტიკისა და პროცედურების მოთხოვნების გათვალისწინებით: შეიცვალა განათლების კომიტეტის ფუნქციები და სტრუქტურული რგოლები; შეიქმნა განგრძობითი განათლების, სერტიფიცირების პროგრამებისა და სასერტიფიკაციო გამოცდების სამეთვალყურეო საბჭოები და განესაზღვრათ სათანადო ფუნქციები; განახლდა კომიტეტის შემადგენლობა და შიდა ნორმატიული აქტები - კომიტეტის დებულება, საგამოცდო კომისიის დებულება, პროფესიული სერტიფიცირების დებულება.

სერტიფიცირების პროგრამის ლიტერატურის განახლება. ბაფის სერტიფიცირების პოლიტიკა და სამსახურის მიერ აღიარებული სერტიფიცირების პროგრამა ითვალისწინებს პროგრამის სახელმძღვანელო ლიტერატურის პერიოდულად განახლებას. პროგრამის სახელმძღვანელო ლიტერატურის განახლების ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში დასრულდა პროგრამის შემდეგი მოდულების განახლებული რედაქციით თარგმნა და გამოცემა: საქმიანობის შედეგების მართვა (F-5 წიგნი); ფინანსური ანგარიშგება (F-7 წიგნი); აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება (F-8 წიგნი); კორპორაციული ანგარიშგება (P-2 წიგნი); აუდიტი და მარწმუნებელი საქმიანობა (P-7 წიგნი). პროფესიული სერტიფიცირების პროგრამის წიგნების განახლების მიმდინარე ციკლი 2019 წლის ივნისამდე დასრულდება.

პროფესიული სერტიფიცირების სტატისტიკა. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბუღალტერთა პროფესიული სერტიფიცირების (ACCA-ის ქართულენოვანი) პროგრამაში

სულ რეგისტრირებული იყო სერტიფიცირების 8800-მდე კანდიდატი. მათ შორის, საანგარიშო წელს პროგრამაში ჩაერთო 812 კანდიდატი. გამოცდების შედეგების მიხედვით: პირველი ეტაპის სერტიფიკატი მიიღო - 356 კანდიდატი; მეორე დონის - 45 კანდიდატი; მესამე დონის სერტიფიკატი მიიღო და პროფესიონალი ბუღალტრის სტატუსი მიენიჭა 21 კანდიდატს.

ბუღალტრთა გადამზადება. საანგარიშო პერიოდში ბაფი, ტრადიციულად, ახორციელებდა მთავარი ბუღალტრის სერტიფიცირების პროგრამას. ამ პროგრამაში მონაწილეობა მიიღო 93 პრეტენდენტმა (მ.შ. რეგიონებიდან-17). სერტიფიცირების გამოცდები წარმატებით ჩააბარა 81 პრეტენდენტმა.

განგრძობითი სწავლება. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ აღიარებული ბაფის 2018 წლის განგრძობითი განათლების პროგრამის (SARAS-CPD-005/18) პროექტი მომზადდა პროფესიული ორგანიზაციებისა და მსხვილი აუდიტორული კომპანიების წარმომადგენელთა ერთობლივი თანამშრომლობითა და შეთანხმებით. პროგრამით გათვალისწინებული სემინარები პირველად განხორციელდა აუდიტორულ კომპანიებთან კონტრაქტის საფუძველზე, კერძოდ პროგრამის სილაბუსებით გათვალისწინებული სასწავლო მასალები მოამზადა და სემინარები ჩატარა შპს „იუაი საქართველომ“ და შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველომ.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ საანგარიშო წელს შესაძლებელი გახდა განგრძობითი სწავლების სემინარების რეგიონებში ჩატარება. სემინარის მონაწილეთა შეფასებით, საანგარიშო წელს ჩატარებული სემინარები ერთ-ერთი საუკეთესო იყო ბაფის განგრძობითი სწავლების 20 წლიან პრაქტიკაში. ბაფი მომავალშიც გააგრძელებს ასეთ პრაქტიკას, რადგან თვლის, რომ მისი დამკვიდრება ხელს შეუწყობს ქვეყანაში განგრძობითი პროგრამების დაახლოვებას და ხარისხის უზრუნველყოფას.

საანგარიშო წლის განგრძობითი სწავლების შედეგების სტატისტიკა.

განგრძობითი განათლების პროგრამის (SARAS-CPD-005/18) შესაბამისად, 2018 წლის 9 სექტემბრიდან 2019 წლის 21 იანვრის ჩათვლით პერიოდში, ბაფმა ჩატარა განგრძობითი სწავლების სემინარები თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში. საანგარიშო პერიოდში, ბაფის წევრ სერტიფიცირებულ ბუღალტერთა და აუდიტორთა რეესტრში რეგისტრირებული იყო 618 სერტიფიცირებული ბუღალტერი, აქედან აუდიტორთა რეესტრში რეგისტრირებული იყო 272. ბაფის მიერ ორგანიზებული განგრძობითი სწავლების სემინარი გაიარა - 411; აუდიტურ კომპანიებში ორგანიზებული განგრძობითი სწავლება ჩაეთვალა - 39; 2018 წლის განგრძობით სწავლებას არ ექვემდებარებოდა ბაფის რეესტრში რეგისტრირებული 24 სერტიფიცირებული პირი. განგრძობითი სწავლების მოთხოვნა ვერ დაადასტურა - 144 პირი (მ.შ. აუდიტორთა რეესტრში რეგისტრირებული 5 პირი).

სემინარები ბაფის წვერი ბუღალტრების მხარდაჭერის მიზნით.

რეგულაციის ახალი გამოწვევების სათანადოდ საპასუხოდ, ბიზნესში დასაქმებული (აუდიტორთა რეესტრში არარეგისტრირებული) ბაფის წვერი ბუღალტრებისათვის ჩატარდა 20 საათიანი სემინარები პროგრამით: „მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება“.

სემინარები სრულად დაფინანსებული იყო ბაფის მიერ და ჩატარდა თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში. სემინარის მასალები მოამზადა და სემინარები ჩატარა შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველომ.

3.2. საწევრო კომიტეტი

საწევრო კომიტეტი განიხილავს წევრობის კანდიდატების წარმოდგენილ დოკუმენტებს, იღებს გადაწყვეტილებებს მათ წევრად მიღებაზე, ატარებს ადმინისტრაციულ ღონისძიებებს წევრობის შეჩერებასა და გარიცხვაზე. კურირებს საწევრო გადასახადების დაფარვის პროცესს.

საანგარიშო პერიოდში, წინა წლებთან შედარებით, გაუმჯობესებულია ნამდვილი წევრებისა და კორპორაციული წევრების საწევრო გადასახდელების დაფარვის მაჩვენებელი თუმცა, ვითარება მაინც არასახარბიელოა ასოცირებულ წევრებთან მიმართებით.

წევრების სტატისტიკა 2018 წელს:

ფიზიკური პირები. წევრების რეესტრიდან ამოღებულ იქნა - 534 პირი, მათ შორის 529 ასოცირებული და 5 ნამდვილი წევრი. მიღებულ იქნა - 794 ასოცირებული წევრი. ნამდვილი წევრი გახდა 23 სერტიფიცირებული პირი.

კორპორაციული წევრები. ურთიერთშეთანხმების საფუძველზე რეესტრიდან ამოღებულ იყო 5 უდიტორული კომპანია ხოლო გაწევრიანდა 3 კომპანია.

2018 წლის 30 დეკემბრის მდგომარეობით ბაფის წევრი იყო:

ფიზიკური პირი - 8034 აქედან: სერტიფიცირებული ბუღალტერი - 645, მ.შ. აუდიტორთა რეესტრში რეგისტრირებული -272; ასოცირებული წევრი - 7329 პირი.

იურიდიული პირი - 60 აუდიტორული კომპანია.

3.3. აუდიტის ხარისხის კომიტეტი

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (2016 წლის ივნისი) თანახმად, აუდიტორული საქმიანობის რეგულირება და ხარისხის კონტროლის სისტემის შემოწმების ფუნქცია სრულად გადავიდა სახელმწიფო საზედამხედველო ორგანოს ფუნქციებში, საანგარიშგებო წელს კომიტეტის ფუნქციები შემოიფარგლებოდა წევრ კომპანიებში ხარისხის კონტროლის სისტემის წინასწარი მონიტორინგით (დიაგნოსტიკური ანგარიში) და კორპორაციული წევრებისათვის ხარისხის კონტროლის სისტემის სრულყოფასთან დაკავშირებულ საკითხებში (კონსულტაციები, სემინარები, აუდიტის პროგრამის შერჩევა, აუდიტის მეთოდოლოგია და სხვ.) მხარდაჭერით.

კომიტეტის საქმიანობის ფარგლებში 2018 წელს: ზედამხედველობის სამსახურთან კონსულტაციების საფუძველზე, განახლდა ხარისხის კონტროლის სისტემის წინასწარი მონიტორინგის - „ხარისხის კონტროლის დიაგნოსტიკური ანგარიშის მომზადების წესი“; ხარისხის კონტროლის სისტემის წინასწარი მონიტორინგი ჩაუტარდა და „დიაგნოსტიკური ანგარიში“ გაიცა 5 კორპორაციულ წევრზე; ჩატარდა სემინარი აუდიტურებისათვის თემაზე: „საქართველოში აუდიტის პერსპექტივები და ხარისხის რეგულირება“. სემინარს უძღვებოდა ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტები; ითარგმნა ხარისხის კონტროლის სისტემის მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო და დაიგეგმა მისი პრაქტიკაში გამოყენების სემინარები.

3.4. ეთიკისა და დისციპლინარული კომიტეტი

კომიტეტის ძირითადი სახელმძღვანელო დებულებაა „ბაფის წევრების მიერ პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (IESBA Code) და ხარისხის კონტროლის სისტემის მიმართ დადგენილი მოთხოვნების დარღვევის გამოვლენისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წესი“.

მიღებული წესით განსაზღვრულია, რომ: კომიტეტი შეისწავლის პროფესიონალი ბუღალტრების მიერ ეთიკის კოდექსისა და ხარისხის კონტროლის სისტემის მიმართ დადგენილი მოთხოვნების დარღვევის გამოვლენილ ფაქტებს; გამოვლენილ დარღვევებზე ახორციელებს დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრებას.

საანგარიშო წელს განხორციელდა დისციპლინარული მოკვლევის პროცედურების დაწყებისათვის აუცილებელი ღონისძიებები: ბაფის წევრთა სამართალდარღვევების გამოვლენისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის განსაზღვრის წესის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კომიტეტმა დაამტკიცა ბაფის წევრის შეუსაბამო ქცევის ფაქტის განმხილველი კომისიის პოტენციური წევრების შემადგენლობა; დაამტკიცდა დისციპლინარული მოკვლევისა და ეთიკის კომიტეტის საბჭოს შემადგენლობა;

დისციპლინარული მოკვლევის პროცედურების დაწყებისათვის გამოცდილების გაზიარების მიზნით დაიგემა სემინარების ჩატარება, რომელსაც ჩაატარებს ადვოკატთა ასოციაციის შესაბამისი სტრუქტურის წარმომადგენლები; მოძიებულ იქნა დონორი ორგანიზაცია უცხოელი ექსპერტების მიერ სემინარების ჩასატარებლად.

საანგარიშო წელს ბაფის წევრი პროფესიონალი ბუღალტრების მიერ ეთიკის კოდექსისა და ხარისხის კონტროლის სისტემის მიმართ დადგენილი მოთხოვნების დარღვევის ფაქტზე ინფორმაცია არ შემოსულა და მოკვლევის პროცედურები არ განხორციელებულა.

3.5. საგადასახადო დაბეგვრის კომიტეტი

საგადასახადო დაბეგვრის კომიტეტის ფუნქციაა: ბაფის ყოველწლიური განგრძობითი სწავლებისა და სხვა სახის სემინარებში გადასახადებთან დაკავშირებული პროგრამის პროექტების მომზადება; წევრების საკონსულტაციო მომსახურება საგადასახადო დაბეგვრის, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საკითხებზე; ბაფში წერილობით შემოსულ კითხვებზე კონსულტანტის მიერ მომზადებული პასუხების პროექტის განხილვა და საბოლოო პასუხის მომზადება მისი ჟურნალში გამოქვეყნებამდე (ან კითხვის ავტორთან გაგზავნამდე); საგადასახადო კოდექსთან დაკავშირებით გამართულ დისკუსიებში მონაწილეობა სამთავრობო და საკანონმდებლო სტრუქტურებთან, ბაფის სახელით. კომიტეტი, როგორც გასულ წლებში, საანგარიშო პერიოდშიც წარმატებით ასრულებდა თავის ფუნქციებს.

3.2. სტანდარტების კომიტეტი

კომიტეტის ძირითადი ფუნქციაა საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა. ბაფი 20 წელზე მეტია სისტემურად თარგმნიდა ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს და მათი პრაქტიკაში გამოყენების სახელმძღვანელო ლიტერატურას. სტანდარტების თარგმნის სამუშაოების სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა თარგმნილი მასალების ორიგინალთან იდენტურობას, რაც საჭიროებდა მაღალკვალიფიციურ ექსპერტთა მაქსიმალურ მობილიზებას. ამ საპასუხისმგებლო პროცესს ხელმძღვანელობდა სტანდარტებისა და პრაქტიკის კომიტეტი.

ახალი რეგულაციის პირობებში, სტანდარტების თარგმნაზე პასუხისმგებლობა გადაეცა ზედამხედველობის სამსახურს და ამ მიმართულებით, საანგარიშო წელს, კომიტეტს სამუშაოები არ გაუწევია. კომიტეტი ჩართული იყო: ბაფის 2018-2019 წლის სამოქმედო გეგმის (SMO 7 ნაწილში) შედგენაში; ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებთან დაკავშირებული ყოველწლიური განგრძობითი სწავლების პროგრამის მოზადებაში, აგრეთვე სხვა სახის სემინარებში სასწავლო პროგრამების შედგენასა და ტრენინგების ჩატარებაში; უზრუნველყოფდა ბაფში წერილობით შემოსულ კითხვებზე პასუხების მომზადებას.

4. აღმასრულებელი სტრუქტურის საქმიანობა

ბაფის აღმასრულებელი სტრუქტურა საქმიანობას ახორციელებს ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის, წესდებისა და შიდა ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე. ბაფის საქმიანობის ხარისხიანად განხორციელებისა და სრულყოფილი მართვის მიზნით, აღმასრულებელი დირექტორის მიერ გაწერილი და დამტკიცებულია: „მენეჯერული პროცედურები“; „შრომის შინაგანაწესი“. თანამშრომელთა საქმიანობა რეგულირდება „თანამშრომელთა ფუნქციების შესახებ“ ბრძანებით. დოკუმენტში გაწერილია დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები, ჩამოყალიბებულია ორგანიზაციის ადმინისტრაციის წევრების ვალდებულებები და პასუხისმგებლობა. თანამშრომელთა ფუნქციების სათანადოდ შესრულება კონტროლდება ოფისის მენეჯერისა და აღმასრულებელი დირექტორის მიერ.

საანგარიშო პერიოდში აღმასრულებელი სტრუქტურის საქმიანობის შეფასების უმთავრესი კრიტერიუმია გამგეობის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები და ფინანსური მდგომარეობა (სტაბილურობა).

ფინანსური მდგომარეობა

საანგარიშგებო პერიოდისათვის დაგეგმილი ეკონომიკური და ფინანსური საქმიანობა, მუხლობრივად და თანხობრივ პარამეტრებში, მოცემულია 2018 წლის ბიუჯეტში, რომელიც გამოქვეყნებულია და მისი გაცნობა შესაძლებელია ვებგვერდზე: baf.ge – „ საქმიანობის ანგარიშები“.

საქმიანობის შესახებ ანგარიშს თან ერთვის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება, დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად და განთავსებულია ვებგვერდზე: baf.ge – „ საქმიანობის ანგარიშები“, სადაც, ბაფის ფინანსური სტაბილურობისა და ფუნქციონირებადობის თვალსაჩინოებისათვის, გამოქვეყნებულია აგრეთვე ბოლო ხუთი წლის ფინანსური ანგარიშგებები.

გასული წლების ფინანსური ანგარიშგებების ანალიზი აჩვენებს, რომ ბაფს დამაკმაყოფილებელი ფინანსური მდგომარეობა აქვს. ბაფის ფინანსური მდგრალობის გარანტი წმინდა აქტივების ღირებულება და ლიკვიდობის მაღალი დონეა.

ინფორმაციის საჯაროობიდან გამომდინარე, წარმოდგენილ საქმიანობის ანგარიშში, ბიუჯეტის შესრულებისა და ფინანსური საქმიანობის დეტალებს არ მიმოვიხილავთ. მოკლედ აღვნიშნავთ, რომ აღმასრულებელი სტრუქტურის მიერ საანგარიშგებო წელს განხორციელებული საქმიანობა თანხვედრაშია ბიუჯეტით დაგეგმილთან.

5. საერთაშორისო აქტივობები (კონფერენციები, სემინარები)

კონფერენცია და სემინარები ვენაში

2018 წლის 26-29 ნოემბერს ქალაქ ვენაში მსოფლიო ბანკის ფინანსური ანგარიშგების რეფორმის ცენტრის (CFRR) მიერ ორგანიზებული კონფერენცია და სემინარები ჩატარდა. ღონისძიებებში მონაწილეობას იღებდნენ აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს საჯარო სექტორის, საზედამხედველო ორგანოების, აკადემიური წრეებისა და პროფესიული საზოგადოებების წარმომადგენლები.

დამსწრეთა წინაშე მოხსენებებით წარდგინენ ძირითადი დონორის, ავსტრიის მთავრობის წარმომადგენლები, საერთაშორისო ბუღალტრული, საჯარო ანგარიშგებისა და აუდიტის სტანდარტების საბჭოების წევრები, საერთაშორისო ექსპერტები, CFRR-ის სპეციალისტები.

ღონისძიებებში მონაწილეობდნენ ბაფის გამგეობის წევრები: **რუსუდან ჟორჯოლიანი, ნოდარ ებანოიძე, ლავრენტი ჭუმბურიძე.**

ჩატარებული ღონისძიებები დაეთმო ისეთი საკითხების მიმოხილვას, როგორცაა ევროკავშირთან შემდგომი ეკონომიკური ინტეგრაციისთვის სანდო ფინანსური ანგარიშგების მნიშვნელობა, მაღალი ხარისხის პროფესიული განათლების სტანდარტების დანერგვის როლი საზოგადოებაში პროფესიისადმი ნდობის ამაღლებაში, ევროკავშირის წამყვან ქვეყნებში არსებული საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება, რეფორმის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გაცვლა, სამომავლო თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებების დასახვა.

საქართველოში პროფესიული სერტიფიცირებისა და განათლების პრაქტიკის შესახებ პრეზენტაცია გააკეთა ბაფის გამგეობის თავმჯდომარემ, **რუსუდან ჟორჯოლიანმა.**

ვენაში გამართულ ღონისძიებებზე განსაკუთრებით აღინიშნა საქართველოს მიღწევები, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროში რეფორმის განხორციელებასა და ევროპული რეგულაციების დანერგვის მიმართულებით.

ბულალტერთა მსოფლიო კონგრესი (MSOA 2018)

ავსტრალიის დედაქალაქ სიდნეიში 5-8 ნოემბერს გაიმართა ბულალტერთა საერთაშორისო კონგრესი.

კონგრესის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა მსოფლიოს 130 ქვეყნის 6000-ზე მეტი დელეგატი. საქართველოს კონგრესზე წარმოადგენდა, ბაფის გამგეობის თავმჯდომარე ქ-ტონი რუსუდან ჟორჟოლიანი.

კონგრესს მასპინძლობდა ავსტრალიის და ახლი ზელანდიის ბულალტერთა პროფესიული გაერთიანება, ავსტრალიის GPA და ბულალტერთა საერთაშორისო ფედერაცია.

კონგრესის ოთხივე დღე დატვირთული იყო, პროფესიული და სამეცნიერო ხასიათის მნიშვნელოვანი ღონისძიებებით. ასევე სამეცნიერო კულტურული ღონისძიებებითა და სადამოებით.

ყირგიზეთისა და ბელარუსის რესპუბლიკების წარმომადგენლების ვიზიტი ბაფში

2018 წლის 11 ოქტომბერს ყირგიზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მომსახურების რეგულირებისა და ფინანსური ბაზრის ზედამხედველობის და ბელარუსის რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები საქართველოს პროფესიონალ ბულალტერთა და აუდიტორთა ფედერაციას ეწვივნენ. შეხვედრის მთავარ მიზანს ორივე ქვეყნის დელეგაციებისათვის საქართველოში აღრიცხვა-ანგარიშგებისა და აუდიტის რეფორმის სფეროში პროფესიული ორგანიზაციის როლის, მისი გამოცდილებისა და მიღწეული შედეგების გაცნობა წარმოადგენდა.

ბაფის გამგეობის თავმჯდომარემ, ქალბატონმა რუსუდან ჟორჟოლიანმა პრეზენტაციის სახით სტუმრებს გააცნო 20-წლიანი პროფესიული საქმიანობის ისტორია, მიმოიხილა ორგანიზაციის მართვის სტრუქტურა და შიდამარეგულირებელი ნორმატიული ბაზა. ისაუბრა ბაფის როლზე საქართველოში ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროში გატარებულ რეფორმასა და მიმდინარე გამოწვევებზე პროფესიაში.

ბაფის განათლების კომიტეტის თავმჯდომარემ, ბატონმა კონსტანტინე დათიაშვილმა სტუმრებს გააცნო საქართველოში ბულალტერთა განათლებისა და პროფესიული სერტიფიცირების პრაქტიკა.

ორგანიზაციაში წევრების პროფესიული მომსახურების ხარისხის კონტროლისა და დისციპლინარული მოკვლევის არსებული პრაქტიკის საკითხებზე პრეზენტაცია გააკეთა ბაფის აღმასრულებელმა დირექტორმა ბატონმა ლავრენტი ჭუმბურიძემ.

შეხვედრა მიმდინარეობდა ინტერაქტიურ რეჟიმში, ხოლო შეხვედრის მეორე ნაწილი მთლიანად კითხვა-პასუხს დაეთმო.

ბუღალტერთა ფორუმი ბაქოში

საანგარიშო წლის 2-3 ოქტომბერს მსოფლიო ბანკისა და აზერბაიჯანის ბუღალტერთა ასოციაციის ორგანიზებით ქ. ბაქოში ჩატარდა ფორუმი, თემაზე: ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა აზერბაიჯანში – პრობლემები და პერსპექტივები.

ფორუმზე მიწვეული იყო ბაფის გამგეობის თავმჯდომარე, ქალბატონი რუსუდან ჟორჟოლიანი, რომელმაც მოხსენება გააკეთა თემაზე – პროფესიული ასოციაციების როლი და მნიშვნელობა პროფესიონალი ბუღალტრების ფორმირების საქმეში.

ფორუმში წარმატებული პროფესიული ორგანიზაციების გამოცდილების გაზიარების მიზნით, საქართველოსთან ერთად მიწვეულნი იყვნენ და მონაწილეობდნენ პოლონეთის, რუსეთის, ყირგიზეთისა და ბოსნია ჰერცეგოვინას პროფესიული ორგანიზაციები.

3 ოქტომბერს შეხვედრა გაგრძელდა მსოფლიო ბანკის აზერბაიჯანის ოფისში, სადაც მრგვალი მაგიდის ფორმატში შედგა დისკუსია აზერბაიჯანის პროფესიული ორგანიზაციის განვითარების საკითხებში მოწინავე გამოცდილების გაზიარების კუთხით.

შეხვედრის ბოლოს მონაწილეები შეთანხმდნენ წარმოდგენილი პროფესიული ორგანიზაციების მიერ ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერაზე.

აუდიტისა და ფინანსური ანგარიშგების გაძლიერება აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში

2018 წლის 23 და 29 მარტს გაიმართა მსოფლიო ბანკის მიერ ორგანიზებული ღონისძიებები, რომლებსაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის, პროფესიული ორგანიზაციების და უნივერსიტეტების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ღონისძიებები STAREP-ის (აუდიტისა და ფინანსური ანგარიშგების გაძლიერება აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში) პროგრამის ფარგლებში ჩატარდა და მის მიზანს წარმოადგენდა ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში განათლების გაუმჯობესების სტრატეგიული სამოქმედო გეგმის შემუშავება.

STAREP-ის ფარგლებში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის განათლების პრაქტიკოსთა საზოგადოების (EduCoP) წევრები ერთობლივად მუშაობენ განათლების მოდერნიზაციასა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე.

ღონისძიებაზე მხარეებმა განიხილეს ალტერნატიული გზები პროფესიული განათლების გაუმჯობესებისათვის და დასახეს კონკრეტული სამოქმედო გეგმა, რომლის განსახორციელებლადაც შეიქმნება სამუშაო ჯგუფი ყველა მხარის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

6. დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

პროფესიის განვითარების მხარდაჭერა

ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ინიციატივით, ინგლისისა და უელსის დიპლომირებულ ბუღალტერთა ინსტიტუტმა (ICAEW) აზიის განვითარების ბანკის მიერ დაფინანსებული რეგიონული ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამის ნაწილის განხორციელება დაიწყო. პროგრამის მიზანია საქართველოში რეგისტრირებული აუდიტორების და აუდიტორული ფირმების ხარისხის გაუმჯობესება. პროგრამას მხარს უჭერს მსოფლიო ბანკის ფინანსური ანგარიშგების რეფორმის ცენტრი (CFRR).

პროგრამის ფარგლებში, ინგლისისა და უელსის დიპლომირებულ ბუღალტერთა ინსტიტუტსა (ლიცენზიარი) და საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციას (ლიცენზიანტი) შორის, 2018 წლის 1 აგვისტოს, გაფორმდა ხელშეკრულება აუდიტის მეთოდოლოგიის მასალის თარგმნასა და გამოყენების უფლებებზე. მეთოდოლოგიის თარგმნა დასრულდა საანგარიშო წელს და 2019 წელს დაგეგმილია შესაბამისი ტრენინგების ჩატარება, ჯერ ტრენინგებისთვის და შემდეგ აუდიტორებისათვის.

მასალა უსასყიდლოდ გავრცელდება ბუღალტერთა პროფესიულ ორგანიზაციებზე და აუდიტურ კომპანიებზე, რომლებიც დაინტერესებული არიან საქართველოში აუდიტის ხარისხის გაუმჯობესებით.

ლავრენტი ჭუმბურიძე,

ბაფის აღმასრულებელი დირექტორი